განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ციფრული მედია და ინოვაციები/Digital Media and Innovation
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ჟურნალისტიკის მაგისტრი/Master of Journalism **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი ჟურნალისტიკაში/Research Master in Journalism
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ინგა შამილიშვილი, პროფესორი, ბსუ - inga_shamilishvili@bsu.edu.ge ნათია კუპრაშვილი, ასოცირებული პროფესორი, თსუ - natia.kuprashvili@tsu.ge ნინო ჭალაგანიძე, ასოცირებული პროფესორი, თსუ - nino.chalaganidze@tsu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი** ✓ პროგრამის I ნაწილის დასრულება; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უცხოური განათლების მქონე პირთა ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი:** ✓ სტუდენტს მისცეს სიღრმისეული ცოდნა ციფრული მედიის ფუნქციონირების, მართვის უახლესი ტრენდების, შინაარსის მომზადების ინოვაციური მიდგომებისა და გავრცელების თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ; ✓ გამოარჩიოს და განავითაროს ციფრული ჟურნალისტიკა, როგორც სიმართლის მოძიებისა და გავრცელების დარგი მასობრივი კომუნიკაციის დიგიტალურ სამყაროში; **მეორე ნაწილი:** ✓ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის დაცვით შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენება საზოგადოებრივი და დარგობრივი პრობლემების გადაჭრისთვის.
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი:** ✓ აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსადა მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; ✓ წარმოაჩენს ინოვაციური მარკეტინგული და მენეჯერული მიდგომების როლს ციფრული მედიასაწარმოს ფუნქციონირების ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობისთვის; ✓ მსჯელობს ციფრული მედიის თვითრეგულირებისა და რეგულირების პრაქტიკაზე საქართველოსა და მსოფლიოში, კიბერჰიგიენის საფუძვლებსა და უსაფრთხოების ძირითად სტანდარტებზე; ✓ განმარტავს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებს, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებს; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედია საშუალების ორგანიზაციული მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს. არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს დარგობრივ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტს და მონაცემებს; ✓ ქმნის, იღებს და ამონტაჟებს მულტიპლატფორმებისთვის მედიურ ნაწარმოებებსა და პრაქტიკაში იყენებს მულტიმედიური თხრობის უნარს; ✓ არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედია პროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის“ მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; ✓ გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს, შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში;

	✓ როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე; ✓ რედაქციას მართავს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით და ადაპტირდება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით; ქმნის წარმატებულ მარკეტინგულ სტრატეგიებს ციფრული მედიისთვის და პასუხისმგებლობას იღებს კოლეგების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. **მეორე ნაწილი:** ✓ აანალიზებს და იყენებს ციფრულ მედიაპლატფორმებთან მუშაობის სტრატეგიებს, გაერთიანებული რედაქციის მუშაობის საფუძვლებსადა მულტიმედია მასალების დაგეგმვისა და ეტაპობრივი გაშუქების სპეციფიკას; ციფრული მედიის საქმიანობისთვის საჭირო პროფესიული ეთიკისა და სამართლის ნორმებს; ✓ განმარტავს მედიამენეჯმენტის ძირითად საკითხებს, თანამშრომლების (გუნდის) ამოცანების ინოვაციური გზით დაგეგმვასა და შესრულების ინსტრუმენტებს; მსჯელობს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმისა და მიმართულების მედია საშუალების ორგანიზაციული მოწყობაზე, მართვის საკითხებსა და ინოვაციური მედია მენეჯმენტის მთავარი ინსტრუმენტებზე; გეგმავს, ასრულებს, განსაზღვრავს, აფასებს შეძენილი ცოდნისადმი განსხვავებულ, ალტერნატიულ მიდგომებს. ✓ არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს დარგობრივ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად; აანალიზებს ციფრულ კონტენტს და მონაცემებს; ✓ არჩევს სხვადასხვა ადრესატისთვის განსხვავებულ სტილსა და სამეცნიერო ნაშრომის არქიტექტონიკას, აანალიზებს სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე არსებულ ციფრულ მედია პროდუქტს, იყენებს ციფრული ,,სთორითელინგის“ მეთოდებს ჟურნალისტურ საქმიანობაში; ✓ გეგმავს ინტერნეტ - მედიაპროექტებს**,** შეარჩევს კომუნიკაციის სტრატეგიებს და აანალიზებს ციფრული მედიის აუდიტორიას, მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; ✓ როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდთან ერთად გეგმავს ტრანსმედიურ პროექტებს, მონაწილეობს დარგთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და დებატებში როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენაზე; ✓ აკადემიური კეთილსინდიერების დაცვითა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს აკადემიურ/ პროფესიულ კონტექსტში უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ციფრულ მონაცემთა კვლევით და პრაქტიკულ პროექტებს.